2023



# SLAPP

## საქმეები საქართველოში

*ახალი საფრთხე მედიის თავისუფლებისთვის*

# საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) სპეციალური ანგარიში

# საქართველოში SLAPP საქმეების შესახებ

**მაისი 2023**

*ანგარიშის მომზადებაზე იმუშავეს GDI-ს იურისტებმა:*

*ეკატერინე სუბელიანი*

*ვასილ ჟიჟიაშვილი*

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ანგარიში მომზადებულია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია GDI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

# სარჩევი


შესავალი და ძირითადი მიგნებები ..... 4

1. რა არის SLAPP? ..... 6

1.1 როგორ ამოვიცნოთ SLAPP? ..... 7

1.2 რა კეთდება SLAPP-ების წინააღმდეგ სხვა ქვეყნებში ..... 9

2. მედია გარემო საქართველოში ..... 12

3. უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობა ..... 13

4. საქართველოს კანონმდებლობა ცილისწამებაზე ..... 13

5. SLAPP საქმეები საქართველოში ..... 15

5.1 SLAPP დავების ინიციატორები და მოპასუხეები ..... 16

5.2 SLAPP სარჩელების რეალური მიზანი ..... 18

5.3 ფინანსური ბარიერების შექმნის მცდელობა ..... 20

5.4 SLAPP სარჩელების კამპანიური ხასიათი ..... 21

6. სასამართლოს პრაქტიკა და ზოგადი მიდგომა SLAPP სარჩელების მიმართ ..... 23

6.1 SLAPP სარჩელების დაჩქარებული განხილვა ..... 23

6.2 მტკიცების ტვირთის გადანაწილება ..... 24

6.3 აშკარად უსაფუძვლო სარჩელის განმარტება ..... 24

6.4 ბალანსი პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ..... 25

6.5 დავის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის მიუხედავად წარმოების გაგრძელება ..... 26

6.6 შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის უგულებელყოფა ..... 27

6.7 ჟურნალისტების მიერ მიღებული ზომების უგულებელყოფა ..... 28

6.8 კვალიფიციური პრივილეგია ..... 28

6.9 მოპასუხისათვის კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნების დავალდებულება ..... 29

6.10 სასამართლო არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ იღებს გადაწყვეტილებას ..... 30

6.11 მორალური ზიანის ანაზღაურების დიდი ოდენობით მოპასუხისთვის დაკისრება ..... 30

## შესავალი და ძირითადი მიგნებები

მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების, "ქართული ოცნების" წევრებისა, და მათთან დაკავშირებული სხვა პირების მიერ ცილისწამების მოტივით დაწყებული სამართლებრივი დავები ბოლო პერიოდში  მედიის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ იარაღად იქცა. GDI-ს დაკვირვებით, 2021-2023 წლებში საქართველოში დაიწყო და მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიტიკული მედიისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ ე.წ. SLAPP (Strategic Litigation against Public Paritipation) სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვის ტენდენცია.  SLAPP-ად განიხილება პოლიტიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ აღძრული აშკარად უსაფუძვლო სარჩელები (ცილისწამების შესახებ), რომელთა მიზანიც არის არა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა, არამედ აქტიური მოქალაქეების გაჩუმება და მათთვის ფინანსური ბარიერების შექმნა.  თუმცა SLAPP-ებს ინდივიდუალური შემთხვევების მიღმა აქვთ „მსუსხავი ეფექტიც," რაც ძირს უთხრის ჯანსაღი და პლურალისტური გარემოს  ჩამოყალიბებას, რომელშიც მოქალაქეებს შეეძლებათ სამოქალაქო ინიციატივების განხორციელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული კოორდინირებული, სტრატეგიული სამართალწარმოების პრაქტიკის შესწავლას, რომლის მიზანიც სამოქალაქო ჩართულობის ხელშეშლაა. ანგარიში მიმოიხილავს SLAPP-თან დაკავშირებულ სამართლებრივ თავისებურებებს, უფლებადამცველთა და ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობას და საქართველოში SLAPP საქმეების სასამართლო პრაქტიკას. ამ მიზნით ანგარიში ეფუძნება GDI-ს მიერ საერთო სასამართლოებში წარმოებულ სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგების განხილვას, აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში დაგროვილ გამოცდილებას, ქართული და უცხოური კანონმდებლობებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ანგარიში მეტწილად ეყრდნობა 2021 წლის იანვრიდან 2023 წლის აპრილამდე საერთო სასამართლოებში წარმოებულ საქმეებს. GDI-ს ინფორმაციით, ამ ეტაპზე საერთო სასამართლოებში სულ მცირე 38 ცილისწამების საქმე განიხილება,  რომელთაგან 12 მიმდინარე საქმეზე GDI უკვე უწევს მედიებსა და ჟურნალისტებს სამართლებრივ დახმარებას.  აღნიშნული საქმეების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ დავების უმეტესობა გამოირჩევა მსგავსი მახასიათებლებით, რაც მათ კამპანიურობაზე მიუთითებს. მათ შორის ნიშანდობლივია, რომ:

- დავების დაახლოებით 31,5% ინიცირებულია ქალაქის მერების მიერ; 13% - დეპუტატების მიერ; 13% - მინისტრების/სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელების მიერ; 8% - პოლიციელების მიერ; 26% - „ქართულ ოცნებასთან" სავარაუდოდ დაახლოებული პირების/ინსტიტუტების მიერ.

- დავების ინიციატორების 56% ითხოვს მოპასუხეებს დაეკისროთ მორალური ზიანის ანაზღაურება დიდი ოდენობით, რათა ფინანსური დაბრკოლებები შეუქმნან მათ;

- სარჩელთა 92%-ის ადრესატები სამი კრიტიკული მედია (“მთავარი არხი”, “ტვ პირველი” , ”ფორმულა”) და მათი ჟურნალისტები არიან.

საყურადღებოა, რომ SLAPP დავების გაზრდილი რაოდენობის ტენდენცია კიდევ უფრო საგანგაშოა საერთო სასამართლოების მიდგომის გათვალისწინებით. მოსამართლეები ფაქტიურად არ მსჯელობენ და უგულებელყოფენ იმ საფრთხეებს, რომელიც თან ახლავს მსგავს დავებს სამოქალაქო ჩართულობისთვის. შედეგად, ისინი უგულებელყოფენ გამოხატვის თავისუფლების დაცვის შესახებ საქართველოში არსებულ სტანდარტებსაც, და აკმაყოფილებენ უსაფუძვლო სასარჩელო მოთხოვნებს.

ანგარიშში ვრცლად არის მიმოხილული სასამართლოს მიდგომასთან დაკავშირებით არსებული ძირითადი პრობლემები, რომელიც SLAPP დავების აქტიური დაკვირვების შემდეგ გამოიკვეთა:

- საერთო სასამართლოების მოსამართლეები მომეტებულ ინტერესს იჩენენ ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების მიერ შეტანილი სარჩელების მიმართ და არაორდინალურად სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში იხილავენ მათ;

- საერთო სასამართლოები უგულებელყოფენ საკანონმდებლო დანაწესს მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით და მას მოპასუხეებს აკისრებენ;

- სასამართლოები სარჩელის აშკარად უსაფუძვლობის შეფასებისას საკითხს ფორმალურად უდგებიან და არ იკვლევენ იმას თუ რეალურად რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა მოსარჩელეს ცილისწამების საფუძვლით დაწყებული სარჩელით;

- სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას არ იცავენ ბალანსს პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის;

- სასამართლო დავის შეწყვეტის საფუძვლების არსებობაზე სათანადოდ არ მსჯელობს;

- SLAPP დავების მიმდინარეობისას საერთო სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში არ აძლევენ მონაწილე მხარეებს თანაბარ შესაძლებლობებს მტკიცებულებების წარმოსადგენად, რაც შესაძლოა მხარეთაშეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენდეს;

- სასამართლოები მხედველობაში არ იღებენ სადავო განცხადებების გამოქვეყნებამდე ჟურნალისტების მიერ მიღებულ ზომებს და, ხშირ შემთხვევაში, ირიბად ავალდებულებენ მათ გაამჟღავნონ კონფიდენციალური წყარო;

- სასამართლოები არ ათავისუფლებენ მოპასუხეებს პასუხისმგებლობიდან კანონის მოთხოვნის მიუხედავად (კვალიფიციური პრივილეგია) და არ მსჯელობენ იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში სადავო განცხადებებს;

- მიუხედავად საკანონმდებლო ჩანაწერისა, რომლის თანახმადაც ცილისწამების დავებზე სათანადო მოპასუხედ ითვლება მედიის მესაკუთრე, მოსამართლეები ჟურნალისტებსაც აკისრებენ პასუხისმგებლობას და ამდენად არ მსჯელობენ არასათანადო მოპასუხის საკითხზე;

- სასამართლოები მოპასუხეებს დიდი ოდენობით  მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრებენ .

## 1. რა არის SLAPP?

მედიის თავისუფლება და პლურალიზმი გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებასთან ერთად საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული სიკეთეებია. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ აღნიშნული უფლებები დემოკრატიისგან განუყოფელია, რის გარეშეც ვერ იარსებებს ტოლერანტული და დემოკრატიული საზოგადოება[1].

სამწუხაროდ, სახელმწიფოების მხრიდან წლიდან წლამდე იხვეწება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტექნიკა, რაც ხშირად სამართლებრივ  ნორმებში არსებული ნაცრისფერი სივრცეების გამოყენებით ხდება. გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდ ერთ-ერთ ასეთ ინოვაციად მიიჩნევა “SLAPP” (სტრატეგიული სამართალწაროება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ), რომელიც პირველად 1980-წლებში დენვერის უნივერსიტეტის პროფესორებმა ჯორჯ პრინგმა და პენელოპე ქანანმა დაამკვიდრეს აშშ-ში. ტერმინი SLAPP გულისხმობს ცილისაწმების საფუძვლით პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ  საზოგადოების აქტიური წევრების მიმართ (ჟურნალისტები, NGO-ები, აქტივისტები)  აშკარად უსაფუძვლო სარჩელების აღძვრას, რისი მიზანიც მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და ფინანსური ტვირთის გაზრდაა.[2]  ამდენად, SLAPP-ების მიზანია არა მისი ინიციატორების მხრიდან სამართლიანობის ძებნა, არამედ მსხვერპლის დაშინება, გაჩუმება, დასჯა და მათ ფინანსურ რესურსებზე იერიშის მიტანა.[3] მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ SLAPP-ებიდან მომდინარე საფრთხე სცდება ინდივიდუალურ შემთხვევებს და მსუსხავი ეფექტი აქვს ყველა იმ ადამიანზე, რომელიც აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცდილობს პოზიცია დააფიქსიროს საჯარო მნიშვნელობის მქონე საკითხებზე.[4] მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად SLAPP ფენომენი ძირითადად აქტივისტების, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ გამოიყენებოდა,

---

[1] Handyside v. the United Kingdom, 7 December 1976

[2] George W. Pring, SLAPPs: Strategic Lawsuits against Public Participation, 7 Pace Envtl. L. Rev. 3 (1989), 3-4, available: https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1535&context=pelr

[3] Maria Diaz Crego, Micaela Del Monte, Strategic lawsuits against public participation (SLAPPs), European Parliamentary Research Service, 2022, 1, available: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2022/733668/EPRS_BRI(2022)733668_EN.pdf

[4] Ibid.

დღესდღეობით მისი სამიზნე შესაძლოა საზოგადოების ნებისმიერი წევრი გახდეს განურჩევლად მისი სტატუსისა, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის სახელით გმობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს კერძო თუ საჯარო პირების მხრიდან.

SLAPP-ების ინიციატორი შესაძლოა იყოს კერძო სუბიექტი, რომელსაც სურს ფინანსური თუ რეპუტაციული ინტერესების დაცვა, ასევე სახელმწიფო მოხელე, რომლის მიზანიც საკუთარი თანამდებობის ან უწყების დაცვაა. საბოლოო ჯამში შედეგი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე მსჯელობის ჩახშობაა. ამდენად, SLAPP-ები მიმართულია საზოგადოების აქტიური წევრების დროში გაწელილ და დამღლელ სასამართლო პროცესებში ჩართვისკენ, რაც ერთი მხრივ იწვევს მათი ფინანსური და დროითი რესურსების ხარჯვას, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების სხვა წევრებს უგზავნის მესიჯს, რომ საზოგადოებრივი განხილვისთვის საჯარო მნიშვნელობის საკითხების ინიცირების შემთხვევაში მათაც მოუწევთ იმავე გზის გავლა.

მსოფლიოს გარშემო SLAPP-ების მზარდი კამპანია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოშიც შეინიშნება. ხელისუფლების მხრიდან მედიის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ქმედებასთან ერთად, ბოლო წლებში გამოიკვეთა სავარაუდოდ კოორდინირებული SLAPP კამპანია, რომლის სამიზნეც ძირითადად ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია კომპანიები და მათი ჟურნალისტები არიან.

## 1.1 როგორ ამოვიცნოთ SLAPP?

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ამ ეტაპისთვის არ იცნობს SLAPP-ის უნივერსალურ დეფინიციას. ამის მიუხედავად, აკადემიური მკვლევარების  საერთაშორისო კოალიციების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ შემუშავებულია კრიტერიუმები და მოდელური სამართლებრივი აქტები რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ კონკრეტული საქმე არის თუ არა SLAPP-ი.

ადამიანის უფლებათა დაცვაზე მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები SLAPP-ებს გამოხატვის თავისუფლების წინაშე არსებულ საფრთხედ აფასებენ. ამის საპირისპიროდ ხშირად SLAPP-ის ინიციატორები სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე მიუთითებენ, და აღნიშნავენ, რომ მათაც გააჩნიათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საკუთარი რეპუტაციის დასაცავად. მართალია, ნებისმიერი სამართლებრივი დავა წარმოშობს დისკომფორტს, მოითხოვს დროისა და ფინანსური რესურსის მობილიზებას, თუმცა SLAPP-ებისგან განსხვავებით, მათი მიზანი არ არის კონსტიტუციით დაცული უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა. ამდენად, ბუნდოვანების თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ კონკრეტულად რა კრიტერიუმები მიანიშნებს საქმეში SLAPP-ის არსებობას.

გთავაზობთ „კოალიცია SLAPP-ების წინააღმდეგ ევროპაში“-ს (CASE) მიერ გამოყენებულ კრიტერიუმებს[5]:

1. სარჩელი აღძრულია თუ არა კერძო მხარის მიერ? (კერძო მხარეში იგულისხმება ყველა პირი, მათ შორის პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, გარდა სახელმწიფო დაწესებულებებისა). პირველი სამართლებრივი გარემოება, რომელიც SLAPP-ებს სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული ტრადიციული ცენზურისგან განასხვავებს არის ის, რომ მათი ინიციატორები კერძო მხარეები არიან.

2. ეხება თუ არა სარჩელი სამოქალაქო ჩართულობას? სამოქალაქო ჩართულობა ფართო მნიშვნელობით განიმარტება და მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლის მიზანიცაა სოციალური თუ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხებზე მუშაობა: ჟურნალისტიკა, ადვოკატირება, აქტივიზმი, მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტი და სხვა.

ორივე კითხვაზე დადებითი პასუხის არსებობის შემთხვევაში, ფასდება შემდეგი საკითხები:

3. არის თუ არა სარჩელის მიზანი სამოქალაქო ჩართულობის შეზღუდვა? სარჩელის რეალური მიზნის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

    - მოთხოვნა, როგორც წესი არაგონივრული და არაპროპორციულია;
    - მოსარჩელე პროცედურული მექანიზმების გამოყენებით ცდილობს მოპასუხისთვის ხარჯების გაზრდას;
    - მოსარჩელე საკუთარ ეკონომიკურ დომინაციას იყენებს მოპასუხეზე ზეწოლის შესაქმნელად;
    - სარჩელი მიზნად ისახავს ინდივიდებზე თავდასხმას და რეალურად არ არის მიმართული იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელშიც ეს ინდივიდები მუშაობენ;
    - სარჩელში მოყვანილი არგუმენტები სამართლებრივად ან ფაქტობრივად საფუძველსმოკლებულია;
    - მოსარჩელე სასამართლო პროცესს იყენებს არა მხოლოდ მოპასუხის შესავიწროებლად, არამედ მიზნად ისახავს იმ მესამე პირების დაშინებასა და შევიწროებასაც, რომელთაც მოსარჩელის მიმართ შესაძლოა ჰქონდეთ კრიტიკული შეხედულებების დაფიქსირების სურვილი;
    - სარჩელი არის სხვა დიდი კამპანიის ნაწილი, რომელიც თავის მხრივ მიზნად ისახავს მოპასუხის და მისი კოლეგების შევიწროებას, დაშინებას;

[5] ხელმისაწვდომია: The Coalition against SLAPPs in Europe (the-case.eu)

- მოსარჩელეს წარსულშიც აქვს SLAPP სარჩელების აღძვრის გამოცდილება.

გარდა ამისა, SLAPP-ების იდენტიფიცირების მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ევროკომისიის მიერ 2022 წლის აპრილში მომზადებული საკანონმდებლო წინადადება დირექტივისთვის იმ პირთა დაცვის შესახებ, რომლებიც გახდნენ SLAPP-ის მსხვერპლნი[6]. დირექტივის მე-3 მუხლი SLAPP-ებად მოიაზრებს ისეთ სარჩელებს, რომელსაც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ხასიათი გააჩნია და მოსარჩელის რეალური მიზანი არა განცდილი ზიანის ანაზღაურება, არამედ სამოქალაქო ჩართულობის შეზღუდვაა. ამავე მუხლის მიხედვით, SLAPP-ის ინდიკატორებია:

ა) სარჩელის ან მისი ნაწილის არაპროპორციული, გადაჭარბებული ან დაუსაბუთებელი შინაარსი;

ბ) მოსარჩელე ან მასთან დაკავშირებული მხარეების მიერ მსგავსი საკითხების მიმართ ინიცირებული მრავალი სარჩელის არსებობა;

გ) დაშინება, შევიწროება ან მუქარა მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლების მხრიდან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ კრიტერიუმები კი შემდეგნაირია:

1. სარჩელი სამოქალაქო ჩართულობისა და საჯარო მნიშვნელობის მქონე საკითხის შეზღუდვისკენაა მიმართული;

2. მოთხოვნა სამართლებრივად დაუსაბუთებელია - არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პერეპექტივა.[7]

## 1.2 რა კეთდება SLAPP-ების წინააღმდეგ სხვა ქვეყნებში

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მასშტაბით ამ ეტაპისთვის არ არსებობს კანონმდებლობა SLAPP-ების წინააღმდეგ. იგივე მდგომარეობაა ევროპულ ქვეყნებშიც. SLAPP-ების წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი ვაკუუმის მიუხედავად ევროპაში აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკური თუ სამართლებრივი პროცესები SLAPP-ების მსხვერპლთა უფლებების დასაცავად.

2021 წლის აპრილში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია თუ როგორ არიან ჟურნალისტები, განსაკუთრებით კი საგამოძიებო ჟურნალისტები SLAPP-ების მსხვერპლნი, რომელთა მიზანია ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის შემცირება

[6] Proposal for a DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on protecting persons who engage in public participation from manifestly unfounded or abusive court proceedings ("Strategic lawsuits against public participation"), available: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52022PC0177

[7] Shutting Out Criticism: How SLAPPs Threaten European Democracy: A Report by CASE, 20220316 CASE report (squarespace.com).

და ანგარიშვალდებულების თავიდან აცილება.[8] ამის შემდგომ, 2021 წლის ნოემბერში ევროპარლამენტმა დიდი უმრავლესობით მიიღო მის  მიერვე ინიცირებული ანგარიში, რომელიც მხოლოდ SLAPP-ებზე ფოკუსირდებოდა. რეზოლუციით ევროპარლამენტმა ევროსაბჭოს მოუწოდა მოემზადებინა ისეთი წინადადება, რაც SLAPP-ების მსხვერპლ ჟურნალისტებს, უფლებადამცველებს და სამოქალაქო საზოგადოებას დამცავი სამართლებრივი მექანიზმით აღჭურავდა.[9]

2022 წლის 27 აპრილს ევროკომისიამ მიიღო ევროპარლამენტისა და საბჭოსთვის წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა SLAPP-ის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. დირექტივაში გაანალიზებულია ევროპის მასშტაბით SLAPP-ების გავლენა ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთა უფლებრივ მდგომარეობაზე და შემოთავაზებულია SLAPP-ებისგან თავდაცვის სამართლებრივი მექანიზმები. მაგალითად, დირექტივის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებას შექმნან ისეთი კანონმდებლობა, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება SLAPP სარჩელების განსახილველად მიღებაზე უარის თქმა ადრეულ ეტაპზე.[10] ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ დირექტივის მიღების შემთხვევაში (მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება სამოქალაქო საქმეებზე), SLAPP-ის მსხვერპლი ჟურნალისტები, აქტივისტები თუ უფლებადამცველები ეფექტური სამართლებრივი მექანიზმით იქნებიან აღჭურვილი, რაც მათ უფლებრივ მდგომარეობას გაუმჯობესებს.

SLAPP-ების წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმების შექმნის საჭიროებაზე ასევე მუშაობს ევროსაბჭო. 2021 წლის ნოემბერში მინისტრთა კომიტეტის მიერ დაარსდა SLAPP საქმეების ექსპერტთა კომიტეტი, რომლის მოვალეობა 2023 წლამდე SLAPP-ებთან დაკავშირებული რეკომენდაციის მომზადებაა.[11]

განსხვავებით ევროპისგან, SLAPP-ების წინააღმდეგ საკანონმდებლო აქტები უკვე არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ამ ეტაპისთვის აშშ-ს 34 შტატში სხვადასხვა ფორმით არსებობს კანონმდებლობა SLAPP-ების წინააღმდეგ. ასეთ კანონებს ძირითადად ორი მიზანი გააჩნია - ერთი მხრივ ითვალისწინებს SLAPP სარჩელების განსახილველად მიღებაზე ადრეულ ეტაპზევე უარის თქმის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, SLAPP-ის მსხვერპლებს სთავაზობს სამართლებრივ მექანიზმს SLAPP-ის ინიციატორებისგან მოითხოვონ სამართლიანი კომპენსაცია გაცდენილი დროისა და დახარჯული რესურსებისთვის.[12]

---

[8] European Parliament resolution of 29 April 2021 on the assassination of Daphne Caruana Galizia and the rule of law in Malta (2021/2611(RSP)), available: TA MEF (europa.eu)

[9] European Parliament, Strengthening Democracy and Media Freedom and Pluralism in the EU: the undue use of actions under civil and criminal law to silence journalists, NGOs and civil society, available: Procedure File: 2021/2036(INI) | Legislative Observatory | European Parliament (europa.eu)

[10] Ibid.

[11] ხელმისაწვდომია: https://www.the-case.eu/coe-recommendation-update

[12] Reporters Committee for Freedom of the Press, Anti-SLAPP Legal Guide, available:  Available: https://tinyurl.com/43aue3vp

ამერიკაში SLAPP-ები განიხილება კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული ისეთი უფლებების დარღვევად, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ფედერალურ დონეზე  არ არსებობს კანონმდებლობა SLAPP-ების წინააღმდეგ, 2020 წელს ერთგვაროვანმა კანონმდებლობის კომისიამ(Uniform Law Commission) დაამტკიცა ერთიანი საზოგადოებრივი გამოხატვის დაცვის აქტი, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს თანმიმდევრულობა შტატებში არსებულ განსხვავებულ ანტი-SLAPP კანონებს შორის[13]. ამერიკაში არსებული ანტი-SLAPP კანონები SLAPP-ის მსხვერპლებს სთავაზობს ისეთ გარანტიებს, როგორიცაა:

- კანონით გათვალისწინებული SLAPP-ისგან დაცვის ფართო სპექტრი;
- სასამართლო პროცესის შეჩერება ანტი-SLAPP შუამდგომლობის შეტანისას;
- მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე გადანაწილება, რომელმაც ანტი-SLAPP შუამდგომლობის განხილვისას უნდა ამტკიცოს, რომ სახეზე არ არის SLAPP სარჩელი;
- ანტი-SLAPP შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში აპელაციის უფლება;
- SLAPP-ით გამოწვეული ფინანსური ხარჯებისა და სასამართლო ხარჯების და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება;
- ანტი-SLAPP კანონმდებლობის ფართოდ განმარტების შესაძლებლობა და პრეზუმფცია, რომ სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ანტი-SLAPP შუამდგომლობას, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.[14]

მოპასუხეს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია SLAPP-ი,  ანტი-SLAPP კანონები უფლებას აძლევს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მიუთითოს, რომ სარჩელის რეალური მიზანია არა ცილისწამებისგან დაცვა, არამედ გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა. მოპასუხის მიერ ანტი-SLAPP შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვა აჩერებს ძირითადი საქმის განხილვას.  ანტი-SLAPP შუამდგომლობის განხილვისას მტკიცების ტვირთი თავდაპირველად ეკისრება შუამდგომლობის ავტორს(მოპასუხეს), რომელმაც უნდა დაასაბუთოს, რომ სახეზეა SLAPP სარჩელი და არსებობს ანტი-SLAPP კანონის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები. ამის შემდგომ მტკიცების ტვირთი იცვლება და  გადადის მოსარჩელეზე, რომელმაც სასამართლოს უნდა აჩვენოს, რომ მის მიზანს წარმოადგენს არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ცილისწამებისგან დაცვა და არსებობს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლიანობა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ვერ დაძლევს მტკიცების ტვირთს, მოპასუხის შუამდგომლობა კმაყოფილდება და მხარეებს შორის საქმის წარმოება წყდება - სასამართლო აღარ განიხილავს SLAPP სარჩელს. ასეთ დროს SLAPP-ით

[13] ხელმისაწვდომია: Public Expression Protection Act - Uniform Law Commission (uniformlaws.org).

[14] ხელმისაწვდომია: Anti-SLAPP Statutes: A Report Card - Institute For Free Speech (ifs.org).

გამოწვეული ფინანსური ხარჯებისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება SLAPP-ის ინიციატორს.[15]

## 2. მედია გარემო საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში მედია გარემო საქართველოში დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მედიის თავისუფლების დაცვის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედეს რადიკალურმა სოციალურმა ჯგუფებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა საჯარო განცხადებებმა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსში 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს  მე-60-დან 89-ე ადგილზე ჩამოქვეითდა[16]

საქართველოში მედიაგარემოს გაუარესების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს შორისაა:

- პროფესიულ ჟურნალისტთა დევნა, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებასთან დაკავშირებით საგამოძიებო უწყებების არაეფექტიანობა და მთავრობის წარმომადგენლების მიერ მედიაზე სიტყვიერი თავდასხმები;

- პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები მედია მენეჯერების და დამფუძნებლების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავარი არხის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმე, რომელშიც სახალხო დამცველის შეფასებით დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი ვინაიდან მის დაპატიმრებას გააჩნდა პოლიტიკური საფუძველი;

- ჟურნალისტების მიმართ მასობრივი უკანონო მიყურადების შემთხვევები და ამასთან დაკავშირებული საგამოძიებო უწყებების არაეფექტიანობა;

- ჟურნალისტებისა და მედიების წინააღმდეგ ცილისწამების შესახებ სარჩელები, რითიც ხელისუფლება ღიად ცდილობს სასამართლოს გამოყენებას კრიტიკული აზრის ჩასახშობად, ხოლო სასამართლოები დაუსაბუთებლად აკმაყოფილებენ ასეთ სარჩელებს, რაც საფრთხეს უქმნის მედიის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება[17].

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები მაუწყებლების დაჯარიმების ან სამართალდამრღვევად  ცნობის  შესახებ, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს დასაბუთების გონივრულ სტანდარტებს და ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ პრაქტიკას.

[15] Ibid.

[16] ხელმისაწვდომია: https://rsf.org/en/country/georgia

[17] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nfZjXZ

ვრცლად ჟურნალისტთა წინაშე არსებული გამოწვევებისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ GDI-ს 2022 წლის ანგარიშში[18] ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ და 2022 წლის ანგარიში[19] მედიის თავისუფლებაზე.

## 3. უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში გაუარესებულია უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობაც. საქართველოში უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს შორისაა:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უფლებადამცველთა ფარული მიყურადების მასობრივი შემთხვევები და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო ორგანოების არაეფექტიანობა;

- მმართველი პოლიტიკური ძალის და მასთან დაკავშირებული მედიების მიერ უფლებადამცველთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ წარმოებული მადისკრედიტირებელი კამპანიები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მმართველი უმრავლესობის წევრების მიერ ინიცირებული და ქართული ოცნების მიერ სრულად მხარდაჭერილი კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"[20], რომლის მიზანსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების მიმართ კონტროლის მექანიზმის დაწესება და საზოგადოების თვალში მათი დისკრედიტაცია წარმოადგენდა. საბოლოოდ, 2023 წლის 6-7-8 მარტს „რუსული კანონის წინააღმდეგ" გამართული მასშტაბური აქციების ფონზე, კანონპროექტმა მეორე მოსმენით მიღებისთვის საჭირო ხმები ვერ დააგროვა - კანონპროექტს მხარი დაუჭირა ერთმა დეპუტატმა, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა 35-მა დეპუტატმა. შესაბამისად, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მეორე მოსმენით ჩააგდო კანონპროექტის მიღება.

- უფლებადამცველებზე ფიზიკური თავდასხმები და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო ორგანოების არაეფექტიანობა;

ვრცლად უფლებადამცველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ GDI-ს 2022 წლის ანგარიშში[21] ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

## 4. საქართველოს კანონმდებლობა ცილისწამებაზე

სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მაღალი სტანდარტით იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. საქართველოში არსებული SLAPP საქმეების

---

[18] ხელმისაწვდომია: ადამიანის უფლებები საქართველოში, 2022.pdf (gdi.ge)

[19] ხელმისაწვდომია: მედიის_თავისუფლება.pdf (gdi.ge)

[20] კანონპროექტი ხელმისაწვდომია: მოძებნე კანონმდებლობა (parliament.ge)

[21] ხელმისაწვდომია: ადამიანის უფლებები საქართველოში, 2022.pdf (gdi.ge)

მიმოხილვამდე მნიშვნელოვანია უპირველესად ცილისწამებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი განვიხილოთ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად ცილისწამება წარმოადგენს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისთვის ზიანის მიმყენებელ, მისი სახელის გამტეხ განცხადებას.

საქართველოს კანონმდებლობა ცილისწამების საქმეებზე ითვალისწინებს შემდეგ გარანტიებს:

ა) ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.[22] ასეთი გარემოების დადასტურებისას სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას;

ბ) ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული[23];

გ) ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას[24]. ასევე, კანონის მიხედვით  პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი არ არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ განცხადებები გაკეთებულია  წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს, აგრეთვე მისი კომიტეტის/კომისიის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში[25];

დ) სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ[26];

ე) კანონმდებლობა კერძო და საჯარო პირებთან მიმართებით ცილისწამების განსხვავებულ სტანდარტს გვთავაზობს. კონკრეტულად, საჯარო მოხელის მიერ ცილისწამების საფუძვლით დაწყებულ საქმეზე მოსარჩელეს კერძო პირებისთვის გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად (პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა[27]) ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა

---

[22] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[23] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

[24] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

[25] სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[26] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

[27] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება[28]. ამასთან, კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ[29].

ვ) აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით[30]. ხოლო აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ[31];

ზ) საქართველოს კანონმდებლობა არცერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ცილისწამების საქმეებზე. ცილისწამების ფარგლებში პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

თ) სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება[32].

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს განსაზღვრავს. ამის მიუხედავად, მოსარჩელეებისა და მოსამართლეების მხრიდან საქართველოში არსებულ SLAPP საქმეებში ხშირად ხდება კანონით დადგენილი მაღალი სტანდარტიდან გადახვევა.

## 5. SLAPP საქმეები საქართველოში

2021-2023 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიტიკული მედიისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ SLAPP სარჩელების რაოდენობა, რომელიც ძირითადად ცილისწამების საფუძვლით წამომოწყებულ დავებში გამოიხატება. სასამართლოში ცილისწამებასთან დაკავშირებით სარჩელების გაზრდილი მაჩვენებელი ჯერ კიდევ 2021 წელს დაფიქსირდა, თუმცა აღნიშნული ტენდენცია მზარდი იყო 2022-23 წლებშიც და კრიტიკულად განწყობილი მედიების და უფლებადამცველების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობამ 38-ს მიაღწია, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დავების უმეტესობა გამოირჩევა მსგავსი მახასიათებლებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულმა ტენდენციამ მიიღო კამპანიური ხასიათი და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გამოიყენება მედიისა და

[28] "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

[29] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

[30] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[31] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

[32] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

უფლებადამცველთა უფლებათა შესაზღუდად. საყურადღებოა ისიც, რომ ასეთი სარჩელების რაოდენობა საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება, რისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც SLAPP სარჩელების მიმართ სასამართლოების დამოკიდებულება შეიძლება იყოს.

შემდეგ ქვეთავებში წარმოგიდგენთ SLAPP დავებისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით ბოლო 2.5 წლის განმავლობაში გავლენიანი პირების მიერ ინიცირებული ცილისწამების შესახებ დავების შეფასებას, რომელიც ცხადყოფს თუ რატომ შეიძლება ისინი მივიჩნიოთ სწორედ SLAPP სარჩელებად..

## 5.1 SLAPP დავების ინიციატორები და მოპასუხეები

SLAPP დავები სხვა დავებისგან გამოირჩევა მასში მონაწილე მხარეების ვინაობით და მათი როლით საზოგადოებაში. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი ტიპის დავებში მოსარჩელე მხარედ გვევლინება ისეთი პირი, რომელიც გარკვეული სახის გავლენებით სარგებლობს საზოგადოებაში, ხოლო მოპასუხეები არიან მოსარჩელის საქმიანობისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ცილისწამების საფუძვლით დაწყებული სასამართლო დავის ინიციატორები, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათთან დაკავშირებული პირები არიან (ხშირ შემთხვევაში, მათი ახლო ნათესავები ან „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერები და შემომწირველები).[33] მაგალითად, „TV პირველის“ წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით სარჩელი შეტანილი აქვს ირაკლი კობახიძის დედას, თამარ ზაალიშვილს[34] (აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 20 სექტემბერს დააკმაყოფილა თამარ ზაალიშვილის სარჩელი და მოპასუხე მედიას 5555 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა[35]) და სიძეს, დავით ფაცაციას, რომელიც ამავდროულად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის თანამდებობას იკავებს. ვხვდებით ოლიგარქთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიერ შეტანილ სარჩელებსაც - მაგალითად, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული „ბანკი ქართუ” თბილისის საქალაქო სასამართლოში „TV პირველის“ და მისი ჟურნალისტების, ნოდარ მელაძისა და მაკა ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ დავობს.

GDI-ს წარმოებაში არსებული საქმეებისა და სხვადასხვა წყაროების მიხედვით, საზოგადოებრივი კონტროლის კუთხით აქტიური სუბიექტების წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით სასამართლოში შეტანილი სარჩელების ინიციატორებად გვევლინებიან:

---

[33] სასამართლოში წამოწყებული მნიშვნელოვანი SLAPP საქმეების მოკლე აღწერები იხილეთ დანართის სახით

[34] ირაკლი კობახიძის დედა, თამარ ზაალიშვილი TV პირველს სასამართლოში უჩივის, იხ. https://bit.ly/3VySs7X [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

[35] ირაკლი კობახიძის დედამ "TV პირველს" სასამართლოში მოუგო, იხ. https://bit.ly/3P3njXP [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

- 12 თვითმმართველი ერთეულის მერი
    - ❖ კახა კალაძე - თბილისის მერი;
    - ❖ წყალტუბოს, ქუთაისის, ქარელის, ასპინძის, ადიგენის, ჭიათურის, ფოთის, ყვარლის, ნინოწმინდის, ბორჯომისა და მარნეულის მერები;
- 5 დეპუტატი ან მასთან შესაძლო კავშირში მყოფი პირი
    - ❖ თემურ გოცირიძე - IX მოწვევის პარლამენტის "ქართული ოცნების" დეპუტატი;
    - ❖ ივლიანე წულაია - IX მოწვევის პარლამენტის "ქართული ოცნების" დეპუტატი;
    - ❖ ნინო წილოსანი - "ქართული ოცნების" დეპუტატი;
    - ❖ ისკო დასენი - "ქართული ოცნების" დეპუტატი;
    - ❖ შპს "ბევრილი ჯგუფი" (სავარაუდო კავშირი "ქართული ოცნების" დეპუტატ, გოდერძი ჩანქსელიანთან);
- 5 მინისტრი/ უწყების ხელმძღვანელი
    - ❖ გრიგოლ ლილუაშვილი - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი;
    - ❖ ჯუანშერ ბურჭულაძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
    - ❖ დავით ფაცაცია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი;
    - ❖ ჯაბა ფუტკარაძე - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი;
    - ❖ ქეთევან ბაკარაძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- 3 პოლიციელი
    - ❖ გენრი ღვინჯილია - ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
    - ❖ გელა კვაშილავა - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაური;
    - ❖ იოსებ ალავიძე - თბილისის შს სამმართველოს ყოფილი უფროსი;
- 5 ხელისუფლებასთან და ქართულ ოცნებასთან სავარაუდოდ დაახლოებული პირი

- ❖ თამარ ზაალიშვილი - ირაკლი კობახიძის დედა;
- ❖ უჩა მამაცაშვილი - ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი;
- ❖ გიორგი გაჩეჩილაძე (“უცნობი”)- ქართული ოცნების ღია მხარდამჭერი
- ❖ რომან ჩხენკელი - ირაკლი ღარიბაშვილთან სავარაუდოდ დაკავშირებული პირი და გავლენიანი ბიზნესმენი ;
- ❖ ბაკურ კიღურაძე - “ქართული ოცნების” შემომწირველი, და სხვ.;

- 1 ბანკი „ქართუ” - ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ბანკი

მიგვაჩნია, რომ დავის ინიციატორების თანამდებობა, მათი კავშირები ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილთან და ხელისუფლებასთან, მის წარმომადგენლებთან, სარჩელების შინაარსი და მათი უსაფუძვლობა აშკარად მიანიშნებს მათ მიზანსა და სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენების მცდელობაზე.

თუმცა, საყურადღებოა ისიც, თუ ვის წინააღმდეგ არის შეტანილი ზემოაღნიშნული სარჩელები. როგორც აღინიშნა, SLAPP სარჩელები მიმართულია სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტების წინააღმდეგ, ამდენად, ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარედ გვევლინებიან ისეთი პირები, რომლებიც ე.წ watchdog, ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქციას ასრულებენ, ასეთები კი ძირითადად მედია და მისი წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სამოქალაქო აქტივისტები და ორგანიზაციები არიან.

საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი ტენდენცია მოწმობს, რომ გავლენიანი პირები სასამართლოს მიმართავენ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების/მედია ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელებით. კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილი სტატისტიკის თანახმად, ცილისწამების საფუძვლით სარჩელებიდან 36 შეტანილია მედიის/ჟურნალისტების, ხოლო ორი - სამოქალაქო ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ამდენად, როგორც მოსარჩელეების, ისე მოწინააღმდეგე მხარის ვინაობა აჩენს საფუძვლიან ეჭვებს სარჩელების რეალურ მიზნებთან და მათი SLAPP დავებად დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით.

## 5.2 SLAPP სარჩელების რეალური მიზანი

ერთ-ერთი დამატებითი ნიშანი, რაც SLAPP დავებს სხვა ტიპის დავებისაგან განასხვავებს, არის მოსარჩელის რეალური მიზანი, რომელიც არა საკუთარი უფლებების აღდგენა, არამედ მის წინააღმდეგ კრიტიკული აზრის ჩახშობაა. მიგვაჩნია, რომ საქართველოშიც გავლენიანი პირების მიერ ცილისწამების საფუძვლით ინიცირებული დავების რეალური მიზანიც სწორედ კრიტიკული მედიის ცენზურის ქვეშ მოქცევაა და არა მათი უფლებების აღდგენა ან

საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება, რაზეც რამდენიმე გარემოება მიუთითებს.

მაგალითად, აღსანიშნავია კახა კალაძის მიერ ინიცირებული სარჩელი, სადაც ის სადავოდ ხდიდა პირდაპირ ეთერში გაკეთებულ იმ განცხადებებს, რომელიც უკავშირდება თბილისის მერიის მიერ სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ძვირად შეძენილ ავტობუსებს და აღნიშნული გარემოების შესაძლო კავშირს თბილისის მერთან. მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძეს არაერთხელ დაუსვეს კითხვა თუ რატომ გადაიხადა თბილისის მერიამ ავტობუსებში სხვა ქალაქებთან შედარებით ბევრად მეტი, მას დეტალებზე არც ერთხელ არ უსაუბრია.[36] საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის მერს აღნიშნული საკითხის ირგვლივ თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მაშინაც მიეცა, როდესაც დედაქალაქის საკრებულოში ამასთან დაკავშირებით კითხვები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ირაკლი ნადირაძემ დაუსვა.[37] ამის მიუხედავად, არც დედაქალაქის მერს და არც თბილისის მერიას არ გაუკეთებიათ რაიმე განცხადება ავტობუსებში გადახდილი თანხის შესახებ. ამის სანაცვლოდ მერმა მედიისა და ჟურნალისტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტა.

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მოსარჩელეებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა მიემართათ ალტერნატიული ზომებისთვის რათა საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილიყო მათი პოზიცია, მათ არჩიეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა. საყურადღებოა მაგალითად ის, რომ ტელეკომპანიები სასამართლო დავების მიმდინარეობისას ხშირად სთავაზობენ მოსარჩელეებს ეთერის დათმობას მათი პოზიციის დასაფიქსირებლად, რაზეც უარს იღებენ. მაგალითად, მოპასუხე ტელეკომპანიებმა „ფორმულამ“ და „მთავარმა არხმა“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს, გრიგოლ ლილუაშვილს მორიგების პირობად შესთავაზეს მათი ეთერი, სადაც მოსარჩელე შეძლებდა საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია გავრცელებული განცხადებების შესახებ, რაზეც მისგან უარი მიიღეს. გარდა ამისა, ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ჟურნალისტები სიუჟეტის მომზადებისას მიდიან იმ უწყებაში, სადაც მოსარჩელე მუშაობს, რათა მისი კომენტარიც გაჟღერდეს. ამ შესაძლებლობაზე უწყების ხელმძღვანელი როგორც წესი უარს ამბობს, თუმცა შემდეგ იწყებს სამართალწარმოებას ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელების საფუძვლით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მოსარჩელეების გადაწყვეტილება მიმართონ პირდაპირ საერთო სასამართლოებს დაუარი თქვან სხვა ალტერნატიულ საშუალებებზე და საკითხის ირგვლივ კომენტარის გაკეთებაზე, მიანიშნებს მათ განზრახვაზე სასამართლო გზით ჩაახშონ კრიტიკული აზრი.

---

[36] კალაძე ამბობს, რომ ავტობუსების ძვირად შესყიდვა ტყუილია, თუმცა დეტალებზე არ საუბრობს, იხ: https://bit.ly/3GwCi8L [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

[37] ირაკლი ნადირაძე კალაძეს - წინა მერობის დროს 60 მლნ ლარი მოიპარეთ, ავტობუსების შემდეგი ტენდერიდან რამდენი მილიონის მოპარვას აპირებთ? კიდევ რამდენი მილიონი უნდა გაზიდოთ მილანში?, იხ: https://bit.ly/3Inh26n [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

## 5.3 ფინანსური ბარიერების შექმნის მცდელობა

SLAPP სარჩელების ერთ-ერთი მიზანი არის მოპასუხეებისთვის ფინანსური ბარიერების შექმნა, რაც შემდგომში მათ საქმიანობას არსებითად შეუშლის ხელს. ფინანსური დაბრკოლებების შესაქმნელად მოსარჩელეები ხშირად მორალური ზიანის ასანაზღაურებლად არაგონივრულად მაღალ ოდენობას ითხოვენ, ხოლო, ამასთან, ხშირად მოპასუხეები იძულებულები ხდებიან გაწიონ დამატებითი საპროცესო/ადვოკატის ხარჯები.

ამ კუთხით, საგანგაშოა საქართველოში არსებული პრაქტიკაც. მაგალითად, გავლენიანი ბიზნესმენი და ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი, უჩა მამაცაშვილი, მოპასუხე ააიპ „ანტიკორუფციული მოძრაობისგან“, და მისი წარმომადგენლებისგან ცალ-ცალკე ითხოვდა 50 000 ლარის (ჯამში 150 000 ლარი) ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაც სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე საკმაოდ დიდი ოდენობაა მსგავსი ტიპის დავებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და თითოეულ მოპასუხეს 5 000 ლარის ოდენობით დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება (რაც წინარე პრაქტიკის გათვალისწინებით ასევე დიდი ოდენობაა), მოსარჩელემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვა მის მიერ მოთხოვნილი თანხის სრულად დაკისრება მოპასუხეებისთვის.

ანალოგიურად, თანხის არაგონივრულად მაღალ ოდენობას, 100 000 ლარს ითხოვდა თბილისის მერი, კახა კალაძეც. ამასთან, კიდევ თერთმეტმა მერმა ((წყალტუბოს, ქუთაისის, ქარელის, ასპინძის, ადიგენის, ჭიათურის, ფოთის, ყვარლის, ნინოწმინდის, ბორჯომისა და მარნეულის) სადავოდ გამხდარი განცხადებების უარყოფასთან ერთად, თითოეულმა მათგანმა, „მთავარი არხისგან“ და ნიკა გვარამიასგან 55 555 ლარი მოითხოვა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

GDI-ს მიერ შესწავლილი სტატისტიკის თანახმად, მოსარჩელეები მოპასუხე მედიებისგან/სამოქალაქო ორგანიზაციებისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას შემდეგი ოდენობებით ითხოვენ:

- 11 მერი (თითოეული) – 55 555 ლარი
- 9 პირი - 3 000 – 150 000 ლარი:
  - კახა კალაძე - 100 000 ლარი
  - უჩა მამაცაშვილი - თითოეული მოპასუხისგან 50 000 ლარი (ჯამში 150 000 ლარი)
  - გიორგი ბახტურიძე - 50 000 ლარი
  - დავით ფაცაცია - 30 000 ლარი
  - გელა კვაშილავა - 10 000 ლარი
  - ნუგზარ ალუღიშვილი - 10 000 ლარი

- ❖ თამარ ზაალიშვილი - 5 555 ლარი
- ❖ თემურ გოცირიძე - 5 000 ლარი
- ❖ ბაკურ კიღურაძე - ტელეკომპანია პირველისგან - 150 000 ლარი; "მთავარი არხისგან" - 150 000 ლარი; "ფორმულასგან" - 3 000 ლარი

- 1 პირი - 3 000 000 ლარი
- 6 პირი - 1 ლარი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვინაიდან სასამართლოები ხშირ შემთხვევაში სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებენ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, 2022 წლის მეორე ნახევრიდან მოსარჩელეების მიერ აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენების მაჩვენებელი  უფრო გაზრდილია წინა პერიოდთან შედარებით.საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი და ამავდროულად ირაკლი კობახიძის სიძე, დავით ფაცაცია, თავდაპირველად მორალური ზიანის სახით 1 ლარს ითხოვდა, შემდეგ კი მოთხოვნა გაზარდა და 30 000 ლარი მოითხოვა მოპასუხე ტელეკომპანიისგან. დავით ფაცაციას მიერ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა დაემთხვა ერთი კვირით ადრე კახა კალაძის სარჩელის  დაკმაყოფილებასა და საქმეში მოპასუხეებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უჩა მამაცაშვილის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება ბიძგს აძლევს სხვა მოსარჩელეებს გაზარდონ მოთხოვნა, თუ ამის პროცედურული უფლება გააჩნიათ, და, შესაბამისად, ფინანსური დაბრკოლებების შექმნით ხელი შეუშალონ მოპასუხეების საქმიანობას.

## 5.4 SLAPP სარჩელების კამპანიური ხასიათი

SLAPP დავები კიდევ უფრო საგანგაშო ხდება მაშინ, როდესაც ისინი კამპანიურ ხასიათს იღებს, რაც მოპასუხეებისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს მათთან გასამკლავებლად. მიგვაჩნია, რომ კრიტიკული მედიისა და უფლებადამცველთა წინააღმდეგ ცილისწამების საფუძვლით შეტანილი სარჩელების რაოდენობის გაზრდა სწორედ იმ ერთობლივი კამპანიის ნაწილია, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ კრიტიკული აზრის ჩახშობასა და ჟურნალისტების/მედიის წარმომადგენლების თუ უფლებადამცველთა გაჩუმებას ისახავს მიზნად.

საქართველოში SLAPP სარჩელების კამპანიურ ხასიათზე მიუთითებს როგორც ცილისწამების საფუძვლით შეტანილი სარჩელების რაოდენობის გაზრდა, ისე შეტანილი სარჩელების შინაარსის მსგავსებაც. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თერთმეტმა მერმა (წყალტუბოს, ქუთაისის, ქარელის, ასპინძის, ადიგენის, ჭიათურის, ფოთის, ყვარლის, ნინოწმინდის, ბორჯომისა და მარნეულის) შეიტანა სარჩელი ერთიმეორის მიყოლებით, „მთავარი არხის" და ნიკა გვარამიას წინააღმდეგ. თითოეულმა მათგანმა მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის, ერთი და იგივე თანხა - 55 555 ათასი ლარი მოითხოვა. საყურადღებოა, რომ გარდა თანხის

ოდენობისა, სარჩელები ერთმანეთს შინაარსით და სამართლებრივი დასაბუთებითაც გავდა, რაც სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვის შეთანხმებულ, კამპანიურ ხასიათზე მიუთითებს..

აღსანიშნავია ისიც, რომ SLAPP სარჩელები ძირითადად მიმართულია ერთი და იგივე ტელეკომპანიების წინააღმდეგ, სარჩელების ძირითად სამიზნეებად კი სამი კრიტიკული მედია საშუალება - "ტელეკომპანია პირველი", "ფორმულა" და "მთავარი არხი", გვევლინება. აღნიშნული ტელეკომპანიები არაერთხელ ყოფილან ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიტყვიერი თავდასხმის თუ დისკრედიტაციული განცხადებების მსხვერპლნი. ამ კუთხით, საყურადღებოა ერთ-ერთი SLAPP მოსარჩელის, დედაქალაქის მერის, კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 ივნისს დაანონსებული დეზინფორმაციასთან ბრძოლის ინიციატივა[38], რომელიც გულისხმობდა "ფეისბუქ" გადაცემა "სიმართლის მუშტის" დაწყებას, სადაც კახა კალაძე ისაუბრებდა მედიაში გასულ "ფეიქ ნიუსებზე". თუმცა, რეალურად, აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა სამი კრიტიკული მედია საშუალების დისკრედიტაციას, რაზეც მიუთითებს კახა კალაძის ოფიციალურ "ფეისბუქ" გვერდზე განთავსებული ბანერი, სადაც გამოსახული იყო "ტელეკომპანია პირველის", "მთავარი არხის" და "ფორმულას" ლოგოები წარწერით "მთავარი სიცრუე", "სიცრუის ფორმულა", "პირველი სიცრუე"[39]. "ფეისბუქ" გვერდზე "სიმართლის მუშტის" 2020 წლის ივნისში ორი გადაცემა განთავსდა, სადაც დედაქალაქის მერმა ძირითადი დრო კრიტიკულ მედია საშუალებებზე გასულ რეპორტაჟებზე საუბარს დაუთმო.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ კრიტიკული მედიების წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის კიდევ ერთი გამოვლინება ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავებია, რომელთა სამიზნეებიც სწორედ ზემოთ აღნიშნული სამი ტელეკომპანიაა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, ცილისწამების საფუძვლით. „ტვ პირველის" წინააღმდეგ მიმდინარეობს 13 დავა, „მთავარი არხის" წინააღმდეგ - 17, ხოლო „ფორმულას" წინააღმდეგ - 5, ყველა მათგანი კი ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების მიერ არის შეტანილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცილისწამების საფუძვლით სარჩელების შეტანამ მიიღო კამპანიური ხასიათი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენებაში გამოიხატება.

ამდენად, მიგვაჩნია, ბოლო 2.5 წლის განმავლობაში გავლენიანი პირების მიერ ცილისწამების საფუძვლით ინიცირებული დავებისთვის დამახასიათებელი ზემოხსენებული კრიტერიუმები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოში SLAPP დავების რეალურ მიზანს. მოსარჩელეების ვინაობა, სარჩელის რეალური მიზნები და სამოქალაქო ჩართულობისთვის ფინანსური დაბრკოლებების შექმნის მცდელობა მიუთითებს საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობებზე.

---

[38] კალაძე: ვიწყებთ თითოეულ ფეიქ ბრალდებაზე პასუხს, ყველას ცხვირ-პირში მოხვდება სიმართლის მუშტი, იხ: https://bit.ly/3HfbU4t [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

[39] კალაძემ „ფეისბუკზე" დაიწყო პროექტი, რომლითაც ტელეარხებს დაჰპირდა „სიმართლის მუშტს", იხ: https://bit.ly/3NcHVOt [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

# 6. სასამართლოს პრაქტიკა და ზოგადი მიდგომა SLAPP სარჩელების მიმართ

როგორც უკვე აღინიშნა, SLAPP დავების გაზრდილი რაოდენობა გავრცელებული პრობლემაა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი შემთხვევა კიდევ უფრო საგანგაშოა სწორედ საერთო სასამართლოების მიდგომის გათვალისწინებით. მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფენ იმ საფრთხეებს, რომელიც თან ახლავს მსგავს დავებს სამოქალაქო ჩართულობისთვის და სარჩელებს აკმაყოფილებენ. მიგვაჩნია, რომ სასამართლოების მსგავსი დამოკიდებულება რიგი მიზეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული - მათ შორის, საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული სისტემური და სიღრმისეული პრობლემებით.

SLAPP დავების მიმდინარეობის აქტიური დაკვირვების შემდეგ, სასამართლოს მიდგომასთან დაკავშირებით შემდეგი ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა:

## 6.1 SLAPP სარჩელების დაჩქარებული განხილვა

საყურადღებოა, რომ ევროპის სხვა ქვეყნებში SLAPP დავები ძირითადად ხასიათდება საქმის გაჭიანურებით, რაც დამატებითი ტვირთია მოპასუხისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოში ვხვდებით განსხვავებულ ვითარებას. საერთო სასამართლოების მოსამართლეები განსაკუთრებულად მაღალ ინტერესს იჩენენ ხელისუფლებასა და ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების მიერ შეტანილი სარჩელების მიმართ და არაორდინალურად სწრაფად, შემჭიდროებულ ვადებში იხილავენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ იგივე კატეგორიის საქმეებში სამართალწარმოება საგრძნობლად გაჭიანურებულია.

მაგალითად, უჩა მამაცაშვილის საქმე სამივე ინსტანციამ 8.5 თვეში განიხილა - (თბილისის საქალაქო სასამართლო - 4 თვე, თბილისის სააპელაციო სასამართლო - 2.5 თვე; საქართველოს უზენაესი სასამართლო - 2 თვე); სუს-ის ხელმძღვანელის საქმეზე ორმა ინსტანციამ გადაწყვეტილება სარჩელის შეტანიდან 8 თვეში მიიღო (თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 თვეში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ 5 თვეში); ხოლო, კახა კალაძის საქმის განხილვა ორ ინსტანციაში 7 თვეში დაასრულდა (თბილისის საქალაქო სასამართლო- 5 თვეში, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლო - 2 თვეში).

ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ სასამართლო გადატვირთულობის გავრცელებული პრობლემის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული "ბანკი ქართუს" სარჩელის განხილვა უჩვეულოდ სწრაფი ტემპით დაიწყო და პირველი სხდომა სასამართლოში შეტანიდან 2 თვეში გაიმართება (სხდომის თარიღი შესაგებლის წარდგენიდან 4 დღეში ჩაინიშნა).

ამის საწინააღმდეგოდ, რიგითი ადამიანების მიერ შეტანილი მსგავსი სარჩელების განხილვას სასამართლოები წლობით ანდომებენ. მაგალითად, GDI-ის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ცილისწამებაზე კერძო პირები დავობდნენ, თბილისის საქალაქო

სასამართლომ  წარმოება 4 წლის შემდეგ დაასრულა.[40] გავლენიანი პირების მიერ შეტანილი სარჩელებისადმი სასამართლოს მსგავსი ინტერესი კი დამატებით შესაძლოა მიუთითებდეს მართლმსაჯულებაში არსებულ მიუკერძოებლობის პრობლემაზე.

## 6.2 მტკიცების ტვირთის გადანაწილება

როგორც აღინიშნა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.6 მუხლის თანახმად, „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“ ამდენად, კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს ცილისწამების საფუძვლით დაწყებულ დავებში ანიჭებს მოსარჩელეს და არა მოპასუხეს.

მიუხედავად ამისა, საერთო სასამართლოების ბოლოდროინდელი პრაქტიკა მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის არსებულ კანონმდებლობასთან. საერთო სასამართლოების თქმით, მაშინ როდესაც განცხადებები ეხება მოსარჩელის სავარაუდო მონაწილეობას დანაშაულში, ჟურნალისტმა უნდა ამტკიცოს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. ამდენად, სასამართლოებმა ფაქტობრივად უგულებელყვეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური დანაწესი და მტკიცების ტვირთი დააკისრეს მოპასუხეს, რაც, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან, და ასევე საფრთხეს უქმნის ჟურნალისტურ საქმიანობას.

საყურადღებოა, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების შეცვლისას მოსამართლეები ხშირად აპელირებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე (ყველაზე ხშირად ციტირებადი საქმე კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაა საქმეზე  McVICAR v. THE UNITED KINGDOM). მიუხედავად ამისა, ისინი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს მანიპულაციურად განმარტავენ და უგულებელყოფენ იმ გარემოებას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს დადგენილი მტკიცების ტვირთის გადაწილების ერთიანი სავალდებულო სტანდარტი, არამედ იგი ქვეყნების კანონმდებლობაზეა დამოკიდებული. ამდენად, მოსამართლეები უნდა ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს აყალიბებს.

## 6.3 აშკარად უსაფუძვლო სარჩელის განმარტება

როგორც უკვე აღინიშნა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება. აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოებმა აღნიშნული

[40] იხ: https://bit.ly/3Ey5yfo [ბოლო ნახვა: 20.02.2023]

სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების წინაპირობებთან დაკავშირებით სამართლებრივად გაუმართლებელი განმარტება გააკეთეს.

ამ მხრივ საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის N2/29676-22 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აშკარად უსაფუძვლო სარჩელი შემდეგნაირად განმარტეს: „აშკარად უსაფუძვლოა სარჩელი, როდესაც არ არსებობს მისი აღძვრის წინაპირობა[...] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ ამ კანონის საფუძველზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ავტომატურად იწვევდეს ამ მუხლის ამოქმედებას. ამისთვის საჭიროა, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყოს იმდენად უსაფუძვლო, რომ არ არსებობდეს საფუძვლიანობის შეფასების წინაპირობები და სამართლებრივი საფუძვლები (მაგალითად, იმის გამო, რომ ცნობების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია".)

„სიტყვისა და თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისიწნებული აშკარად უსაფუძვლო სარჩელის დაკმაყოფილების სტანდარტი შემდეგნაირია: 1. არსებობს თუ არა სახეზე მოსარჩელის მიზანი უკანონოდ შეზღუდოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება; 2. არის თუ არა სარჩელი აშკარად უსაფუძვლო. მსგავს სტანდარტს ვხვდებით ამერიკის შეერთებულ შტატების სასამართლოების პრაქტიკაშიც, სადაც სარჩელის აშკარად უსაფუძვლოობის განხილვისას სასამართლოები ამოწმებენ: სახეზეა თუ არა შეგებებული მოთხოვნის ინიციატორის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზანი; 2. არსებობს თუ არა სარჩელის დაკმაყოფილების წარმატებულობის პერსპექტივა.[41]

ამისგან განსხვავებით საერთო სასამართლოები სარჩელის აშკარად უსაფუძვლობის შეფასებისას საკითხს ფორმალურად უდგებიან და არ იკვლევენ იმას თუ რეალურად რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა მოსარჩელეს ცილისწამების საფუძვლით დაწყებული სარჩელით. სასამართლოს ამგვარი პრაქტიკა SLAPP-ის მსხვერპლებს ართმევს საკუთარი უფლებების დაცვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

## 6.4 ბალანსი პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის

ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავების შემთხვევაში, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირდება კონსტიტუციით დაცული ორი ფუნდამენტური უფლება - გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების უფლება. ამის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აქვს განმარტებული, რომ სასამართლოებმა უნდა დაიცვან ბალანსი კონვენციით დაცულ მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება) მუხლებს შორის.

საყურადღებოა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი ზოგადი პრინციპის თანახმად, დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს გამოხატვის თავისუფლება მაშინ, როდესაც ამით ხელი ეწყობა საჯარო ინტერესზე დებატებს. ამასთან,

[41] John Stossel v. Meta Platforms, inc., et all (Case No. 21-cv-07385-VKD), available: http://climatecasechart.com/case/stossel-v-facebook-inc/

საჯარო პირების დასაშვები კრიტიკის ფარგლები ბევრად უფრო ფართოა, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება მიიღწეოდეს პოლიტიკური დებატის თავისუფლება, რაც დემოკრატიული საზოგადოების საბაზისო კონცეფციაა.[42]

მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოებმაც, გადაწყვეტილების მიღების დროს, მხედველობაში მიიღონ ევროპული სასამართლოს განმარტებები პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დაცვის შესახებ.

ნაცვლად ამისა, SLAPP დავების განხილვისას არაერთხელ ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს არც უმსჯელია ამ ორ უფლებას შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობის შესახებ და გადაწყვეტილება უპირობოდ პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სასარგებლოდ მიუღია. სასამართლო მხედველობაში არ იღებს  არც იმ გარემოებას, რომ ძირითადად მსგავს დავებში განცხადებები ეხება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე  საკითხებს, რომლის ირგვლივაც საზოგადოებრივი დისკუსია მიმდინარეობს. მაგალითად, სასამართლო უგულებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, და მათზე საჯარო დისკუსიის არსებობის მნიშვნელობას, როგორიცაა კორუფცია, ტრანსნაციონალური დანაშაული, სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტიანი ხარჯვა და სხვა.

მეტიც, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სუს-ის ხელმძღვანელის სარჩელთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გამომდინარე განცხადებები კიდევ უფრო მძიმედ ლახავს მის რეპუტაციას. ფაქტობრივად, სასამართლომ სწორედ მოსარჩელის მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე განმარტა, რომ გვაქვს მის პირად ცხოვრებაში ჩარევა და აშკარა უპირატესობა მიანიჭა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. ამის საწინააღმდეგოდ კი, ევროსასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ საჯარო პირის შესახებ გავრცელებული განცხადებები გამოხატვის თავისუფლების დაცვის მეტად მაღალი სტანდარტით სარგებლობს, რასაც საქართველოს საერთო სასამართლოები, განსაკუთრებით გავლენიანი პირების მიერ სარჩელით მიმართვის შემთხვევაში, არ ითვალისწინებენ.

## 6.5 დავის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის მიუხედავად წარმოების გაგრძელება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუქნტის თანახმად, „ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია: ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.“

[42] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Lingens v. Austria, პარ. 42

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ლილუაშვილის მიერ სადავოდ გამხდარი განცხადებები გაკეთებული იყო პოლიტიკოსის, საქართველოს პარლამენტის წევრის, ლევან ხაბეიშვილის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო საკანონმდებლო ჩანაწერი და არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ამასთან, მოსამართლემ არ გაიზიარა ტელეკომპანია „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ შუამდგომლობა განცხადებები მიეჩნია პოლიტიკური დებატების ფარგლებში გაკეთებულად და შეეწყვიტა საქმის წარმოება. საყურადღებოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა პოლიტიკური დებატების მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ „იგი უნდა განიმარტოს როგორც სახელმწიფო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხზე საჯარო განხილვა, რომლის დროსაც ხდება პირთა მიერ აზრების გაცვლა და ის არ შეიძლება ვიწროდ მიჩნეულ იქნეს როგორც ერთჯერადი, ფორმალურ გარემოში წარმართული დისკუსია პოლიტიკოსებს შორის, არამედ იგი წარმოადგენს საჯარო მნიშვნელობის მქონე საკითხის განხილვის პროცესს, რომელიც შესაძლოა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდეს და მასში მონაწილეობს ყველა ის პირი, ვინც საჯაროდ დააფიქსირებს პოზიციას განსახილველ საკითხთან მიმართებაში ან სხვაგვარად ჩაერთვება პოლიტიკურ პროცესში, მიუხედავად მისი პოლიტიკური სტატუსისა. პალატა აქვე განმარტავს, რომ პოლიტიკურ საკითხად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ყველა ის საკითხი, რომლის მიმართაც არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი და ხდება ფართო საზოგადოებაში განხილვის საგანი.“ თუმცა, მოპასუხეებთან მიმართებით, აღნიშნა, რომ ვინაიდან განცხადებებში წარმოდგენილია არა მოსაზრებები, არამედ ფაქტები და ვინაიდან ისინი გაკეთებულია არა დისკუსიის ფარგლებში, არამედ მოსარჩელის პოზიციის მიღების მცდელობის გარეშე, სადავო განცხადებები არ უნდა მიჩნეულიყო პოლიტიკურ დებატებში გაკეთებულ განცხადებებად. სასამართლოების მიერ მსგავსი წინააღმდეგობრივი მიდგომა კი პრობლემურია და დამატებით საფრთხეს უქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

## 6.6 შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის უგულებელყოფა

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია სამართალწარმოებისას, SLAPP დავების მიმდინარეობისას საერთო სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში არ აძლევენ მონაწილე მხარეებს თანაბარ შესაძლებლობებს მტკიცებულებების წარმოსადგენად.

მაგალითად, გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელის განხილვისას მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ტელეკომპანიების და დეპუტატის თითქმის არც ერთი შუამდგომლობა, მათ შორის შუამდგომლობები მტკიცებულების დართვასთან დაკავშირებით. ამასთან, უჩა მამაცაშვილის სარჩელის განხილვისას, მოსამართლემ დააკმაყოფილა იმ პირების მოწმის სახით დაკითხვა, რომლებიც უჩა მამაცაშვილის სასარგებლო ჩვენებებს მისცემდნენ (მათ შორისაა ზურაბ ნოღაიდელი, დავით ნარმანია და დავით თვალაბეიშვილი) თუმცა უარი თქვა ისეთი მოწმეების დაკითხვაზე, რომლებსაც შესაძლოა სასამართლოსთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ტრანსნაციონალურ დანაშაულში მონაწილე პირებისა და სავარაუდო კორუფციული სქემის შესახებ, მათ შორისაა გიორგი ქობულია, ლევან ხაბეიშვილი და ნიკა გვარამია.

მსგავსი მიდგომა, მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე დაკისრებასთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის მოსარჩელეებისთვის საქმის მოგების შანსებს.

## 6.7 ჟურნალისტების მიერ მიღებული ზომების უგულებელყოფა

საყურადღებოა, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „მცდარი ფაქტის გავრცელება ყოველთვის არ წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა ზომები მიიღო და რა ღონისძიებები გაატარა ჟურნალისტმა, როდესაც ფაქტს ავრცელებდა. მან თუ ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება“[43]. მაშინ, როდესაც ცილისწამების დავებზე არსებითი მნიშვნელობისაა ის თუ როგორ გახდა ცნობილი ჟურნალისტებისთვის სადავო ინფორმაცია, საერთო სასამართლოები, SLAPP დავების განხილვისას, ხშირად უგულებელყოფენ იმას, თუ რა გზებს მიმართეს ჟურნალისტებმა ინფორმაციის გავრცელებამდე.

მაგალითად გრიგოლ ლილუაშვილის მიერ შეტანილი სარჩელის შემთხვევაში არც თბილისის საქალაქო სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ “მთავარი არხის” ჟურნალისტები მისულები იყვნენ იმ ადგილას, სადაც მათთვის ცნობილი იყო “ქოლ-ცენტრების” განთავსების შესახებ, ჩაატარეს საგამოძიებო ექსპერტიმენტი, ელაპარაკნენ სხვადასხვა რესპოდენტს, რომლებმაც დაადასტურეს ქოლ-ცენტრების არსებობა და სხვ. ამდენად, ჟურნალისტებმა სადავოდ გამხდარი განცხადებები გაავრცელეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გონივრულობის ფარგლებში მიიღეს შესაბამისი ზომები და გამოიტანეს ლოგიკური დასკვნები, თუმცა, აღნიშნული გარემოებები პირველმა ორმა ინსტანციამ არ გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას.

საერთო სასამართლოების მსგავსი მიდგომა მიუთითებს SLAPP დავების არასრულყოფილად შესწავლაზე, რაც იწვევს გადაწყვეტილების დაუსაბუთებულობას, შესაბამისად მის არაკანონიერებას

## 6.8 კვალიფიციური პრივილეგია

„სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულია პირისთვის კვალიფიციური პრივილეგიის მინიჭება, რომელიც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან პირის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, პირს მცდარი ფაქტის გავრცელებისთვის ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია თუ: ა) პირმა მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; გ) პირმა განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; დ) განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს; ე) პირის განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და

[43] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის #2ბ/1713-15 გადაწყვეტილება, პ. 5.4.

ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოპასუხეები მიმართავენ შესაბამის ზომებს განცხადებების სისწორის შესასწორებლად და ასევე, ისინი ძირითადად მიზნად ისახავენ საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, სასამართლოები ამ გარემოებებზეც არ ამახვილებენ ყურადღებას და გადაწყვეტილების მიღებისას, ხშირ შემთხვევაში, არც მსჯელობენ კვალიფიციური პრივილეგიის არსებობაზე, ან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამორიცხავენ მას.

მაგალითად, საყურადღებოა, რომ კახა კალაძის სარჩელის განხილვისას, მოპასუხე "ტვ პირველი" და მაია მამულაშვილი უთითებდნენ, რომ (ა) მათ ჰქონდათ შესაბამისი საფუძველი (საჯაროდ არსებული წყაროები), რაც სადავოდ გამხდარ ცნობებზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლეოდა; (ბ) საუბარი იყო ისეთ საკითხზე, რომლის ირგვლივაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება და ამდენად, საზოგადოებრივ დისკუსიაში წვლილის შეტანით გამოწვეული სიკეთე აღემატებოდა სავარაუდოდ დამდგარ ზიანს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ჩათვალა, რომ მოპასუხეს არ უნდა მინიჭებოდა კვალიფიციური პრივილეგია.

ამდენად, მიუხედავად საკანონმდებლო ჩანაწერისა და იმ გარანტიებისა, რაც იცავს მოპასუხეებს ცილისწამების დავების დროს, სასამართლოები მათი გათვალისწინების გარეშე იღებენ გადაწყვეტილებას.

## 6.9 მოპასუხისათვის კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნების დავალდებულება

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, „პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლო დავისას მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება."

მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციული წყარო აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული, საერთო სასამართლოებს არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა მოპასუხეებს გაამჟღავნებინონ კონფიდენციულური წყარო, რომლისგანაც მიიღეს ინფორმაცია სადავოდ გამხდარი განცხადებების შესახებ. მაგალითად, გრიგოლ ლილუაშვილის სარჩელის განხილვისას, მოპასუხე "მთავარი არხი" უთითებდა, რომ სხვა წყაროებთან ერთად ის დაეყრდნო კონფიდენციალური წყაროსგან მიღებულ ინფორმაციას. ამასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე ტელეკომპანიებმა ვერ დაადასტურეს წყაროს სანდოობა, რაც გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რის გამოც განცხადებები ცილისწამებად მიიჩნია. მსგავსი განმარტებებით სასამართლო, ფაქტობრივად, ავალდებულებს მაუწყებლებს მიუთითოს კონფიდენციალური წყაროს ვინაობაზე, რათა თავიდან აირიდონ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც და განმარტა, რომ მოპასუხეებს უნდა ემტკიცებინათ წყაროს სანდოობა. საერთო სასამართლოების მსგავსი განმარტებები ქმნის

საშიშ პრეცედენტს და აღნიშნული მიზეზით შესაძლოა წყაროებმა თავი შეიკავონ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდებისგან.

## 6.10 სასამართლო არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ იღებს გადაწყვეტილებას

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე“ („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი). ამდენად, პირს არ უნდა დაეკისროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მაშინ, როცა ის განცხადებების მედიის (ორგანიზაციის) სახელით აკეთებს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ჩანაწერს მოსამართლეები მხედველობაში არ იღებენ და თუ მოსარჩელე მოპასუხედ მედიასთან ერთად ჟურნალისტსაც უთითებს, გადაწყვეტილებას ჟურნალისტის წინააღმდეგაც იღებს. მაგალითად, კახა კალაძემ ტელეკომპანია „პირველთან“ ერთად, სარჩელი მაია მამულაშვილის წინააღმდეგაც შეიტანა, ხოლო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მისი არათანადო მოპასუხედ ცნობის შესახებ. ამდენად, ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება როგორც მედიას, ისე წამყვანსაც დაეკისრა.

ამასთან, არასათანადო მოპასუხეებად ცნობას ითხოვდნენ ააიპ „ანტიკორუფციული მოძრაობის“ დირექტორი და თავმჯდომარე, რომლებიც ორგანიზაციის სახელით აკეთებდნენ უჩა მამაცაშვილის მიერ სადავოდ გამხდარ განცხადებებს. მიუხედავად იმისა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი მედია ორგანიზაციებზე ვრცელდება, მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ანალოგიური მიდგომა უნდა გაეთვალისწინებინა სამოქალაქო ორგანიზაციებთან მიმართებითაც და ცალცალკე არ დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ორგანიზაციისა და მისი წარმომადგენლებისთვის. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და მოპასუხეებს პასუხისმგებლობა დააკისრა არა მარტო როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლებს, არამედ როგორც კერძო პირებს.

## 6.11 მორალური ზიანის ანაზღაურების დიდი ოდენობით მოპასუხისთვის დაკისრება

საგანგაშოა სასამართლოების ტენდენციაც მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დიდი ოდენობით დაკისრების კუთხითაც. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოები, რიგ შემთხვევებში, ნაწილობრივ აკმაყოფილებენ მოსარჩელის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, დაკისრებული ოდენობა არ აკმაყოფილებს პროპორციულობის მოთხოვნებს და ხელს უწყობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის “მსუსხავი ეფექტის” შექმნას.

მაგალითად, უჩა მამაცაშვილის სარჩელის შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ “ანტიკორუფციულ მოძრაობას” და მის ორივე წარმომადგენელს 5000-5000 ლარი დააკისრა (ჯამში 15 000 ლარი). ანალოგიურად დიდი ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება

დაეკისრა “ტელეკომპანია პირველს” და ჟურნალისტ მაია მამულაშვილს - 15,000 ლარის ოდენობით. საყურადღებოა, რომ ანალოგიურ დავებზე საერთო სასამართლოების პრაქტიკიდან გამომდინარე, გავლენიანი პირების მიერ ინიცირებული დავების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა არაგონივრულად მაღალია. ამასთან, სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, თუ რატომ არ არის სადავოდ გამხდარი ცნობების უარყოფა საკმარისი მოსარჩელისთვის მაშინ, როდესაც, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ცილისწამების დავებზე ცნობების უარყოფა სრულიად საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მოსარჩელის უფლებები აღდგეს. ამდენად, მაშინ, როდესაც მოსარჩელეები ხშირ შემთხვევაში ვერ უთითებენ ვერც ერთ გარემოებაზე, რომელიც დაადასტურებდა მიყენებულ ზიანს და რითაც დაამტკიცებდნენ, რომ ცნობების უარყოფა არ არის საკმარისი, სრულიად არაგონივრულია მორალური ზიანის მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც საერთო სასამართლობი მოპასუხეებს აკისრებენ.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება ბიძგს აძლევს სხვა მოსარჩელეებს გაზარდონ მოთხოვნა, თუ ამის პროცედურული უფლება გააჩნიათ, და, შესაბამისად, ფინანსური დაბრკოლებების შექმნით ხელი შეუშალონ მოპასუხეების საქმიანობას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების მიდგომა საქართველოში არსებულ კონტექსტს SLAPP დავებთან დაკავშირებით კიდევ უფრო კომპლექსურს და საგანგაშოს ხდის. სასამართლოების მხრიდან მსგავსი დავების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ინტერესი და სწრაფი ტემპით სარჩელების დაკმაყოფილება გვაფიქრებინებს, რომ სწორედ საერთო სასამართლოებს მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ ინიცირებული SLAPP დავების რაოდენობის ზრდაში.